ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3336649

ნომერი: AR1513329

თარიღი : 12.06.2017

გაცემის თარიღი : 26.06.2017

გაცნობის თარიღი : 26.06.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვაზისუბანი , I მ/რ-ის სამხრეთით, ავტოსადგომის მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , დასახლება ვაზისუბანი , კორპუსი N13 , -ის მიმდებარე გზის მოპირდაპირე მხარეს/ ქალაქი თბილისი , დასახლება ვაზისუბანი , მიკრო/რაიონი I , სამხრეთით მდებარე ავტოსადგომის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შავლეგო ბერუაშვილი პ/ნ 01019046458
- თბილისი ახტალის გას. N 3

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 16 ივლისის №1997322 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 12 ივნისს #AR1513329 განცხადებით მომართა შპს ფალავანის დირექტორმა შავლეგო ბერუაშვილმა, რომელმაც მოითხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 16 ივლისის №1997322 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა

შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 216 ივლისის №1997322 ბრძანებით, №01.17.10.001.088 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით, დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
ამჟამად, განმცხადებელი ითხოვს ზემოაღნიშნულ აქტში ცვლილების შეტანას კერძოდ, დასავლეთის მხრიდან არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის საზოგადოებრივ საზღვრად დადგენას.
საპროექტო მიწის ნაკვეთს საზოგადოებრივი საზღვრები დაუდგინდა ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის მხრიდან (ორივე მხრიდან ესაზღვრება გზა-სატრანსპორტო ზონა 1(ტზ-1), ნაკვეთის დასავლეთით დაურეგისტრირებელი სივრცეა საცხოვრებელი ზონა) ვინაიდან იგეგმება ტერიტორიის გამწვანება სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ დასავლეთის მხარეც ჩაითვალოს საზოგადოებრივ სივრცედ და აღნიშნული ცვლილება ასახოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 16 ივლისის №1997322 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 16 ივლისის №1997322 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საზოგადოებრივი საზღვრები დაფიქსირდეს: გააჩნია ჩრდილოეთის, აღმოსავლეთის და დასავლეთის მხრიდან;
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 16 ივლისის №1997322 ბრძანებასთან ერთად.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.